საქართველო

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის მერია

+5000 საქართველო, ჩხოროწყუ, დ. აღმაშენებლის ქ. №1 ტელ: 5(99) 856 577 ელ.ფოსტა info.gamgeoba@gmail.com

KA000054743909618

№ 126-ს

13 / თებერვალი / 2018 წ.

ბრძანება

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ქიმბაქტისათვის“ უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობაში გადაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი ნაწილის ,,დ“ პუნქტის „დ.დ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 122-ე მუხლის, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლისა და "ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ქიმბაქტი“-სათვის უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობაში გადაცემის შესახებ ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე" ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 3 იანვრის №1 განკარგულების შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. გადაეცეს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ქიმბაქტს“ (საიდენტიფიკაციო ნომერი: 442260027) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით უვადო სარგებლობაში ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება– ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის დაბა ჩხოროწყუში, გობეჩიას ქ. №7-ში მდებარე შენობაში არსებული ფართი 78 კვ.მ-ის ოდენობით (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი N 46.02.31.028).

2. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ზუგდიდი, რ. ლაღიძის ქ. №12).

მერი

დათო გოგუა